საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/138 " 2 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მზია თოდუას 2021 წლის 24 იანვარს უსრულდება საპენსიო ასაკი. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დაიწყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის 3 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით.

3. ინფორმაცია შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი